

# საქართველო

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საორთული გაზეთი

სუთუაბათი 15 აპრილი 1999 №67 (840)

ფასი 1 ლარი

საქართველო  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გზარაგდეთ  
უფალი

## ქაში ფიქრისა იოჰან ბოსკამპი:

— არაჰის არაჰერი უმეოუთაგაჰებია. თანაც საქართველოს ნაკრები საქმეში არ მინახავს. აი, როცა გუნდის თამაშს დაგვეწრები, მერე გადაწყვეტილების მიღებას გაშიიოლდება.



გუშინ საქართველოს თვრამეტწლამდელოთა ნაკრები გერმანიასში გაფრინდა, იქიდან კი ჩეხეთს ავტობუსით 16-საათიანი მგზავრობის შემდეგ ჩავა



ფოტო: ფოტოგრაფი ნინო სტალიანი

იოჰან ბოსკამპი. მართლაც საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია თავი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ბელგიაში მცხოვრებ ჰოლანდიელს. მასთან ინტერვიუ მესამე გვერდზე იხილეთ

რატომ უსწრება  
ცოტა ხალხი  
ახალგაზრდული  
ჩემპიონატის  
თამაშებს?

10th FIFA World Youth Championship  
**Nigeria 1999**  
3-24 April 1999

უეუჩირებელი  
რენსენბრინკი

საქართველოს  
ეროვნული  
საფეხბურთო  
სამხრეობა  
1977-78 წლები  
ანდერლახტი  
სტადიონი  
სტრასბურგი

გველირსება  
ეროვნული  
ჩემპიონატი?

ფული არა, ფორმა არა...  
17 აპრილს დასაწყები  
საქართველოს მორაგბეთა  
ჩემპიონატი სულ ცოტა  
ერთი კვირით გადაიდო

## კოლხეთი ლანჩხუთში გადაასახლეს ქველი კანონი კედელი არ არის, ნუ შავასკდებათო

ფოთის „კოლხეთი“ რომ მინუს სამ ქულას გადაურჩა, თავის საფეხბურთო ტრადიციებსა და ახალი ფედერაციის ახლებურად აზროვნებას უმადლოდეს. პირველ რიგში ადამიანური საზომებით უნდა მივუდგეთ საკითხს, ყველა ნიუანსი გავითვალისწინოთ და სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ. თანაც გვახსოვდეს, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობა კატეგორიული წინააღმდეგია გუნდების ქულათა დაკლების მეთოდით დასჯისა. მართალია, ამის იურიდიული საფუძველი არ არსებობს, მაგრამ ადამიანი კანონზე მაღლა დგას. ქულების ჩამოკლება ძველი ფედერაციის დროს იყო. ის დებულება კი აღარ გაშოდგება და ახლის მიღებამდე მისგან გადახვევა ტრაგედიად არ უნდა აღვიქვათ — აი, ასეთი სულისკვეთებით წარიმართა გუშინდელ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე 4 აპრილს, „კოლხეთი“ — „დინამოს“ მატჩზე მომხდარი ინციდენტის განხილვა. მანამდე კი...

...შავა აღვართში მიჰყვია

არ გაუმართლა ფინანსურად შეჭირვებული „გორდას“ პრეზიდენტ ვალერი ქოქიაშვილს. 10 აპრილს რუსთაველები თსუ-ს მასპინძლობდნენ. შეხვედრის შემდეგ ქოქიაშვილი გასახდელისკენ მიმავალ მსაჯს დახვედრია, უგინებია და დამუქრებია კიდევ. მომხდარის შესახებ თამაზ ლაცაბიძემ მატჩის ოქმში შავით თეთრზე ჩაანიკნია და... „გორდას“ პრეზიდენტს სადისციპლინო კომიტეტმა სასტიკი საყვედური შეუთვალა, თანაც 200 ლარიანი ჯარიმის გადახდაც დააკისრა.

მხალაია თუ გიბრი?  
2 აპრილს ბაღდათში ამბავი მომხდარა, ნუ იკითხავთ. ადგილობრივი „საირმე“ პირველ ჯგუფში დაბრუნებისთვის მეტროძოლ ზესტაფონის „მარგვეთს“ მასპინძლობდა. მე-10 წუთზე მსაჯ კრიჭაშვილს სამართლიანად დაუნიშნავს თერთმეტმეტრიანი სტუმართა სასარგებლოდ. ჰოდა, არეულა კიდევ მონასტერი. ხალხმა მოედანზე „საირმეს“ ფეხბურთელებთან ერთად არეულობა შექმნა. მსაჯს ორი ფეხბურთელი გაუფრთხილებია. კონკრეტულად რა ჩაიდინეს, სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა ვერ გაარკვიეს, რადგან სხდომაზე არც კრიჭაშვილი და არც იმ შეხვედრის ინსპექტორი აფრიდონიძე გამოცხადდა. კრიჭაშვილი მოხსენებით ბარათში წერდა — თამაში 7 წუთით შეწყდა. აფრიდონიძე მანყნარებდა და მთხოვდა, შეხვედრა გამეგრძელებინა. არადა, არავითარი ზომები არ მიუღიათ. უხეშობა კვლავ გაგრძელდა. მასპინძელთა მეკარე და მესამე ნომერი აშკარად გაძევებულ იმსახურებდნენ. ვერ გავხვდეთ ამის გაკეთება, დაძაბული ვათარების გამო. მატჩის შემდეგ კი იმ ორი ფეხბურთელის „მონანილის ბარათის“ წამოღება მინდოდა, მაგრამ აფრიდონიძემ არ დამანება და მითხრა, ამით ჩემი ავტორიტეტი შეილახებაო.

იხილეთ მესამე გვერდი

საქართველოს 22 ტური

ქუთაისია, ბიძია, ეს!



ტორპედოელებმა კახა კვეციანიძემ (მარცხნივ) „ლოკომოტივს“ ორივე მატჩში გაუტანა

რომორც იქნა, ვატყვია კოკა, კოკასთან ერთად ნავსი, ნავსთან ერთად „ლოკომოტივი“ და ორმოცდაშვიდი წაუტყველი ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრის შემდეგ რკინიგზელებმა წააგვეს რეკორდია ღმერთმანი რეკორდი, რომელიც შედგა და რომელსაც უკვე ისტორიაში მიეჩნა ადგილი. კიდევ რა? რა და თხამ ვენახი შეჭამა, ისევე როგორც „ტორპედო“ შეჭამა „ლოკომოტივი“ თავის დატყვევან ამბიციებიანად მეთავე ეროვნული ოცდამეორე ტურის ცენტრალურ მატჩში. კარგი მატჩი იხილა მაყურებელმა „გივი კილაძეზე“ — ისეთი, „სადაც რაღაცაში“ ღიად ფეხბურთს რომ მოგაგონებს კაცს. მაყურებლების რაოდენობა, სისწრაფე, შესრულების დონე, ინტრიგა... ჩვენი შიდა საფეხბურთო მდგომარეობიდან გამომდინარე, არაფერი აკლდა ამ შეხვედრას. და გაიმარჯვა „ტორპედო“, მიუხედავად რკინიგზელთა მწვერთხელის თემურ მანარაძის ექვებისა, ღირსეულად გაიმარჯვა. ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა „ტორპედო“ ოქროზე ოცნებას გამოათხოვა და ქუთათურებიც ვერცხლზე გადაეგვიშენ. საკითხავი ისდა იყო, შეძლებდნენ თუ არა ქუთაისელები თემურელების დამარცხებას. შეძლეს. შეძლეს და ამით მნიშვნელოვანი განაცხადიც გააკეთეს მეთავე ეროვნული ვერცხლზე. გაიმარჯვა მარადმა ჩემპიონმა. ამჯერად „დინამოს“ ოდიშარები შემოემარცხნენ. თანაც ისე, ოფიციალურ არ მოუდენიათ ნორმალურად. გაიტანა ყველამ, ვისაც სურვილი ჰქონდა და ვისაც არ ეზარებოდა. ვინ იცის, კიდევ რამდენს გაიტანდნენ თბილისელები, ზუგდიდელთა მეკარე ნაყოფისა რომ არ გამოეღოთ თავი. ისე, ზუმრობა გვერდზე იყოს და სერიოზულად ხომ არ მიგვენიჭებინა დინამოელებისთვის „ეროვნული ჩემპიონატის“ დამსახურებული მასწავლებლების წოდება? — ისინი ხომ ასე უშუალოდ ატარებენ საფეხბურთო გაკვეთილებს თითქმის ყოველ ტურში. სერგო კოტრიკაძე, ვოტე დოლიძე და „ვიტ ჯორჯია“ რახანია აგრძელებენ ძლიერად მარშს ჩემპიონატისა და სატურნირო ცხრილში. ამჯერად უცლოლოთა ამქარს არხვინი გორელები დანებდნენ. ამ შეხვედრაში ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეს გუნდებმა. პირველში „დილა“ კარანზობდა მატჩის მიმდინარეობას, მეორეში — პირიქით, ვიტელები. სტუმრები უფრო ყოჩაღები გამოდგნენ, გორელთა ერთს მეორე ნახევარში სამით უპასუხეს და ძალუმადაც გაამარჯვეს სოლიდური გუნდის იმიჯი. არ წააგო „სამგურალი“, ვერ შიიგო „ბათუმმა“ და ქუთუბიც თანაბრად განაწილდა წყალტუბოურ მატჩში. ეს ერთი ქულა ჯერაც უნარჩუნებს ზღვისპირელებს მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსს და არც წყალტუბოელებს ოფიციალურად, მათ ხომ ერთბაშად ოთხი გუნდი მისდევს ზურგში. განსხვავება კი მხოლოდ სამი-ოთხი ქულაა. წაუგებთ „გურიაში“ წააგო. ისე, როგორც ჩვევია ამ ბოლო დროს — ცოტა

ბრძოლით და უშანსოდ. მორიგი მარცხი სამტრედიელებმა აგემეს წლევეანდელი სეზონის აუტსაიდერს. ისე, სხვა თუ არაფერი, წარსულს მაინც უნდა სცენ პატივი „გურიას“ მეპატრონეებმა (თუ არსებობენ საერთოდ). აფსუსია და ქართული ფეხბურთის სირცხვილი ასე დაჩაჩანაკება. „იბერია“ კი, „დილასი“ არ იყოს, ნელ-ნელა იძენს მეთავე ეროვნული არხვინი გუნდის იმიჯს. უშუალო მეტოქე დამარცხა თბილისის „არსენალმა“. „სიონმა“ კი იბრძოლა, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, ანგარიშში გაქვითეს ქვემოქართულეებმა, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს ზირაქიშვილის გამოხტომებთან, რომელსაც თავი არ მოუკლავს, მაგრამ ესეც ყვეო გოლისთვის და საგოლე პასისთვის. სერგო გაბელაძის ფრეების მოყვარულმა „მერანმა“ კი მოგება ისწავლა. იგებენ ტრანსპორტელები შინაც, გარეთაც, სუსტიტთან ხომ, ახლა ძლიერიც დააჩოქეს. ამ ტურში „კოლხეთს“ სძლიეს მერანელებმა თოლორდავას კინკილა გოლით. მასპინძლებმა უსახურ შეხვედრაში კი გაიმარჯვეს, მაგრამ ამას სატურნირო ცხრილში მათი ვაჭვენებისთვის ხელი არ შეუშლია. უცილობა, „მერანი“ „დილასაც“ მალე ჩამოაქვითებს მეექვსე ადგილიდან, მეტს კი ნამდვილად ვეღარ შეძლებს და არც ეკუთვნის. და ბოლოს, სუპერუსახური, პირდაპირ საცოდავი მატჩი „ფოლადზე“. ყველაფერი ფეხბურთის გარდა. არადა, თამაში თსუ-საც ძალუმს და „გორდასაც“. ისინი, მათი შემადგენლობიდან გამომდინარე, სულაც არ არიან უკანასკნელნი ჩვენს ჩემპიონატში. ასე ჩაიარა მეთავე ეროვნული ჩემპიონატის ოცდამეორე ტურში. ძირითადად მასპინძლებმა იმარჯვეს — ოთხი მოიგეს, ორი წააგეს და ორიც ფრედ დაამთავრეს. ოცდაერთი ბურთი გაკვირა — ცამეტი სტუმართა, რვა მასპინძელთა კარში. თითხმეტი ყვირული და ორი წითელი „აანთეს“ მსაჯებმა. ეს იყო და ეს. ინტრიგა? ინტრიგა ქუთაისელებმა შეჰმატეს ტურს აბა, რავა გვერათ? ქუთაისია, ბიძია, ეს!

კონსტანტინე გოგიშვილი

Table with 2 columns: Round (XXIII ტური) and Score/Result. Rows include 16 აპრილი, პარასკევი; 17 აპრილი, შაბათი; 18 აპრილი, კვირა; 19 აპრილი, დეკემბერი; 20 აპრილი, იანვარი; 21 აპრილი, თებერვალი; 22 აპრილი, მარტი.

თბილისი 10 აპრილი 16 საათი სინათლე 600 (ტყველობა 3 000) მერანი 1:0 კოლხეთი

თბილისი 10 აპრილი 16 საათი მრეწველი 800 (ტყველობა 75 000) დინამო 5:0 ოდიში

თბილისი 10 აპრილი 16 საათი ზურაბი 800 (ტყველობა 10 700) გორდა 0:0 თსუ

თბილისი 10 აპრილი 16 საათი მრეწველი 2 500 (ტყველობა 8 230) დილა 1:3 ვიზ ჯორჯია

თბილისი 10 აპრილი 16 საათი მრეწველი 600 (ტყველობა 22 000) გურია 1:3 იბერია

თბილისი 10 აპრილი 16 საათი მრეწველი 1 500 (ტყველობა 14 000) სამგურალი 0:0 ბათუმი

თბილისი 10 აპრილი 16 საათი მრეწველი 6 500 (ტყველობა 23 800) გორდა 3:1 ლოკომოტივი

თბილისი 10 აპრილი 16 საათი მრეწველი 200 (ტყველობა 3 000) არსენალი 2:1 სიონი

Table with 2 columns: Round (გომგარდირები) and Score/Result. Rows include 20- აგვისტო, დინამო; 15- ივნისი, ტორპედო; 14- სექტემბერი, ბათუმი; 13- დეკემბერი, გურია; 12- თებერვალი, ლოკომოტივი; 11- მარტი, კოლხეთი; 9- აპრილი, დინამო; კაიბარაშვილი, დილა; მებრძოლები, ტორპედო; დ. ჯანაშია, ტორპედო; 8- მ. შენგელია, სამგურალი.

Table with 2 columns: Team Name and Score/Result. Rows include სიმბოლური ნაპრემი, ზაზა ზირაძევილი, დავით ზანაშვილი, კახა ჩხიტიანი, რატი ალიძე, კახა კვიციანი, გიორგი ძორცი, მალაზა მოსაძოვი, მანტანა ხვადაბანი, გიორგი შანკუბაძე, გიორგი გალავანი, გურამ ტორაძე, მირიან მალაზაძე, მწვერთელი მობაზირაძე.

Table with 3 columns: Round (სულ, შიგ, სტუმრად) and Score/Result. Rows include 1 დინამო (1), 2 ტორპედო (14), 3 ლოკომოტივი (6), 4 ბათუმი (2), 5 კოლხეთი (3), 6 დილა (9), 7 მერანი (7), 8 ვიზ ჯორჯია (10), 9 იბერია (14), 10 არსენალი (14), 11 სამგურალი (12), 12 გორდა (11), 13 კოლხეთი (12), 14 სიონი (13), 15 თსუ (8), 16 გურია (14).







# რთ-რთ ბრუნდება!

28 აპრილს ულამაზეს „კამპ ნოუ-ზე“ ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართება. „ბარსელონა“ თავისი საუკუნოვანი იუბილეს აღმნიშვნელ ზეიმზე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრებს უმასპინძლებს. ამ შეხვედრას ხიბლს ისიც კმატებს, რომ სამხრეთამერიკელთა ახალგაზრდა მწვერთელმა ვანდერლემ ლუქსემბურგელ თანამედროვეობის ორი დიდი ფეხბურთელი — რომარიო დე სოუზა ფარასი და ლუის ნაზარიო დე ლიმა რომანოდო გამოიძახა. აღსანიშნავია, რომ ორივემ სწორედ კატალონიურ კლუბში გაიბრწყინა თავის დროზე.

მიმდინარე სეზონში მსოფლიოს 1996 და 1997 წლების საუკეთესო ფეხბურთელი რომანოდო ტრავმებმა გატანჯა — მას ორივე მუხლი დასაზარებელი აქვს. ამის გამო მან „ინტერის“ შემადგენლობაში თითქმის ჩამოსათვლელი მატჩები გამართა, ხოლო ბრაზილიის ნაკრებში საფრანგეთი 98-ის ფინალის შემდეგ აღარ უთამაშია.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რომანოდო ნაკრებში დაბრუნდება — თქვა ლუქსემბურგელმა სატელევიზიო ინტერვიუში.

რაც შეეხება 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვიზის რომარიოს, იგი მარო ზაგალომ ზედ საფრანგეთი 98-ის წინ ამოაგლო განაცხადიდან, ვითომდა ტრავმის გამო. არადა, მერე გაირკვა, რომ ფეხბურთელი ჯანმრთელად იყო, უბრალოდ, მასსა და ზაგალოს შორის შავ კატას გაურბენია. წლეულს ვეტერანი თავდასხმელი „ფლამენგოს“ ლირსებას იცავს და გუნდის ერთ-ერთი ლიდერია — ძალიან ზშირად გააქვს. ჭირვეულ ვარსკვლავს არც ლუ-

ქსემბურგოსთან ჰქონია ოდესმე შეხმატკბილებული ურთიერთობა, მაგრამ სამშაბათს მან განაცხადა, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

ასე რომ, ვისაც ლამაზი, ლალი ფეხბურთი და ბრწყინვალე რო-როს (რონალდოს და რომარიოს წყვილის მეტსახელი) კიდევ ერთხელ ხილვა მოგეწონებათ, დაელოდეთ 28 აპრილს. ნამდვილად არ ინანებთ.

### წოდარ ძასრაძე

**ბრაზილიის ნაკრები**  
**მიმპარტიზი:** როფერიო, ანდრე  
**მცემლები:** რობერტო კარლოსი, ზე რო ბერტო, ოდგანი, სეზარი, შეიდეტი  
**ნახმარებლები:** ფლავიო კონსისიო, მარკოს ასუნსაო, ემერსონი, როფერიო, რივალდო, ჯოვანი, დენისონი  
**თამაშისმძღველი:** რომარიო, ამორიზო, რომანოდო



მომავალი მწერალი მაიკლ ოუენი და მომავალი მამა რობი ფაულერი

# ახალი ამბები ლივერპულიდან

დღეს ორ ინგლისელ ვარსკვლავზე გამცნობთ ახალ ამბებს, ორივე „ლივერპულში“ თამაშობს. ერთს მაიკლ ოუენი ჰქვია, მეორეს — რობი ფაულერი. უმცროსით დავიწყობთ. საფეხბურთო ამბავში ოუენი ბავშვი ნაღდად აღარ არის, მაგრამ იმ საქმეში, რაც მას ახლახან გადაუწყვეტია, ჯერ მინასაც არ ასცილებია — მაიკლი მემუარების დაწერას აპირებს.

19 წლის ბიჭი თავის ცხოვრებაზე წიგნის წერას შეუდგა, თანაც ერთის კი არა სამის! მათ გამოცემაში ფორვარდს ფორმა „პარპერკოლინი“ დაეხმარება.

მამ ასე:  
 წიგნი პირველი. მასში თქვენს შვილებს მაიკლ ოუენი საფეხბურთო საიდუმლოებებს გაანდობს, რაც იცის, ბუნებრივია. სახელმძღვანელო დღის სინათლეს იხილავს აგვისტოში, შემდეგ კი მასზე დაყრდნობით ექვს სერიანი ფილმი გაკეთდება, რომლის ნახვაც ტელეკომპანია იის-ის დახმარებით შეგეძლება.

წიგნი მეორე. აქ თქვენ შეიტყობთ როგორ ცხოვრობდა პატარა მწერალ-ფეხბურთელი სულ ბავშვობაში. როგორ თამაშობდა დაჭერბანას, კუკულამალობანას, ხეზე ჩიტს ანდა, როგორ არ უყვარდა მანანის ბურღული. ყველაფერ ამას 2000 წელს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ შეიტყობთ.

წიგნი მესამე. ეს ოუენის ყველაზე სერიოზული ნაშრომი იქნება. ამისთვის იგი დახმარებდნენ რომელიმე გამოცდილი მწერლის მოწვევასაც კი აპირებს. მასში ოუენის მთელს ავტობიოგრაფიას გაეცნობით. ამის საშუალება ცოტა მოგვიანებით, 2002 წლის მსოფლიოს პირველობის შემდეგ მოგეცემათ.

— შესაძლებლობა მეძლევა, პატარა ფეხბურთელებს ცოდნა გავუღრმავო მსოფლიოს ყოველ კუთხეში და ამავდროულად ხალხს ჩემს ცხოვრებაზე მოუთხრო — ამბობს ოუენი, რომლის ისედაც სქელ ჯიბეს ამ სახის მოღვაწეობის შემდეგ კიდევ მილიონი გირვანქა ანუ 1,6 მილიონი დოლარი შეავსებს.

თანაც, პრემიერლიგის ბოლო ტურში „ლიდსთან“ მაიკლი მძიმედ დაშავდა და ახლა მშვიდდ მუშაობს სახლში კოტორალი და მუხების მოხმობა.

ახლა ფაულერზეც ვთქვათ. როგორც იქნა, დაძაბული დეკადის შემდეგ მან კარგი ამბავი წაიკეთა. შეგახსენებთ, რომ დროის მცირე მონაკვეთში „ლივერპულის“ თავდასხმელი ორჯერ გაეხევა სკანდალში. პირველად, როცა გრემ ლე სოს რაგინდარა მეთოდით შედერასტიაში დასდო ბრალი, ხოლო მეორედ უკვე თავის თავს მიაცენა ზიანი — „ევერტონს“ რომ პენალტიდან გაუტანა, მინდორზე განვა და პირით ხაზს ისე დაყენოდა, როგორც კოკინს. ამის შემდეგ ხალხი კვლავ ალაპარაკდა, ფაულერი მორფინისტიაო. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამაც იგი მკაცრად დასაჯა — ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია და დაახლოებით 50 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა.

და აი, სასიხარულო ამბავიც. მალე რობი მამა გახდება. მართალია, მას თანამემამულე დევიდ ბექემივით ცნობილი და ცუგრუმელა თანამეცხედრე არ ჰყავს, მაგრამ ნაშიერის შესაძლო მოვლენის ამბავი ძალიან ახარებს.

ფაულერის თქმით, 23 წლის კერი ჰენონი მას ზაფხულში აჩუქებს შთამომავალს, რის შემდეგაც ისინი ოფიციალურად შეუღლდებიან და ახალ „ბაითშიც“ გადავლენ.

ეს მართლაც სასიხარულო ამბავი ფეხმძიმე კერამ და ვისტონის საავადმყოფოს მედპერსონალმა რომ 9 აპრილს ამცენეს და მშენიერი საჩუქარად გამოუვიდათ — იმ დღეს ფეხბურთელი 24 წლის შესრულდა.

— რობი სიხარულისგან ჭკუაზე არ არის, მისი ნატვრა სრულდება. უმძიმესი კვირის შემდეგ ეს მართლაც მშენიერი ამბავი გახლდათ — უთხრა გავთ „ლივერპულ ექოს“ ფაულერის მავანმა ძმაკაცმა.

დავით კომპიჩიძე



# გაშინაურებული ოტო ბარიჩი

ორიოდ კვირის წინ ავსტრიის ეროვნული გუნდი ვალენსიაში ესპანელთან 0:9 რომ დამარცხდა და საქვეყნოდ მოიჭრა თავი, უკვე ძველი ამბავია. არც ის არის ახალი, რომ წაგებიდან ორ დღეში ნაკრების თავკაცის პოსტი პერბერტ პროჰაზაკამ დატოვა. მას შემდეგ ავსტრიული ფეხბურთის გამგებლები ბევრს ფიქრობდნენ, თუ ვინ დაენიშნათ გუნდის მწვერთელად. იყო ორი კანდიდატურა — ინგლისელი როი პოჯსონი და ხორვატი ოტო ბარიჩი, პრესაში გერმანელი ბერტი ფოგთისის სახელმაც გაიფლერა. საბოლოოდ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ბუპო მაუპარტმა თავის ქვეშევრდომებთან ითათბირა და გადაწყვიტა — ამერიიდან ავსტრიელებს ოტო ბარიჩი გაწვრთნის.

— ბარიჩი სწორედ ის ადამიანია, რომელიც გუნდს აგონიიდან გამოიყვანს და მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად განაწყობს. ამის თქმის უფლებას მისი უდიდესი გამოცდილება მაძლევს — თქვა მაუპარტმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე.



ოტო ბარიჩი (მარცხნივ) თუ ილხენს — კაცურად

65 წლის ხორვატი სპეციალისტის გამოცდილება, წესით, მართლაც უნდა წაადგეს ავსტრიის ნაკრებს, რომლის 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა ესპანელებთან შერცხვენის შე-

მდეგ ერთობ სათუო გახდა. მე-6 შესარჩევ ვეკუფში ავსტრიელები მხოლოდ სან მარინოს უსუსტეს გუნდს უსწრებენ და მე-4 ადგილზე იმყოფებიან. მათ 4 მატჩი აქვთ გამართული — შინ

დაუზავდნენ ისრაელს 1:1, სტუმრად მოუგეს პირველ წრეში ესპანელების მძლეველ კვიროსელებს 3:0, ასევე გასვლაზე დაამარცხეს სან მარინო 4:1 და შემდეგ ესპანეთთან 0:9 წააგეს. ბარიჩის თავის სამწვრთნელო კარიერა უმეტესწილად ავსტრიაში აქვს გატარებული და ბევრი წარმატებისთვისაც მიუღწევია: 7-ჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი - 1971, 72 წლებში „ინსბრუკთან“ ერთად; 1983, 87, 88 წლებში ვენის „რაპიდთან“ ერთად, ხოლო 1994, 95 წლებში „ზალცბურგის“ თავკაცობისას. 4-ჯერ დაეუფლა ავსტრიის თასს. გარკვეულ მიღწევებს იგი საერთაშორისო სარბაულზეც ითვისებს — 1985 წელს „რაპიდი“ თასების თასის ფინალში გაიყვანა, ხოლო 1994-ში „ზალცბურგი“ უფას თასის ფინალში. ასე რომ, ბარიჩი ავსტრიულ ფეხბურთს ზედმიწევნით იცნობს და ამის გათვალისწინებით ამბობს: — ავსტრიის ნაკრები კარგ ფეხბურთს თამაშობს და ბევრი მაღალი კლასის მოთამაშეც ჰყავს. ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როცა ესპანელებთან მატჩის ანგარიში შევიტყვე.

— ბარიჩზე უკეთ ჩვენებურ ფეხბურთში არავინაა გათვითცნობიერებული იგი ხომ წლების განმავლობაში აქ მუშაობდა. რა თქმა უნდა, ამანაც იქონია გავლენა მის ნაკრების მწვერთელად დანიშვნაზე — თქვა მაუპარტმა. ახლა სახელმწიფოებრივად წერილობრივად ვთქვათ. ბარიჩმა კონტრაქტი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასრულებამდე გააფორმა, რომელიც, თუ ავსტრიის ნაკრები ფინალურ ეტაპზე გავა, ავტომატურად გაგრძელდება. ამავდროულად, ერთ-ერთი მუხლის თანახმად, თუ ბარიჩის მუშაობით ავსტრიული ფეხბურთის მამები მთლად კმაყოფილნი არ დარჩებიან, უფლება ექნებათ იგი გაათავისუფლონ.

ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირის მორიგ მატჩში 28 აპრილს ავსტრია სან მარინოს უმასპინძლებს. ამ თამაშზე გამოძახებულ ფეხბურთელთა ენაობას ბარიჩი 22 აპრილს გაამხელს. სხვათა შორის, ავსტრიის ეროვნულ გუნდს ევროპის პირველობაზე არასდროს უთამაშია.







„ჰამბურგი“ და „ანდერლესტი“, წინა გათამაშების ფინალისტები, ვერც ამჯერად ასცდნენ ერთმანეთს. მათი მერვედფინალური რაუნდი ტურნირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. გერმანელების მწვრთნელმა პეტერ კრონმა, რომელსაც ასსოვდა ფინალის ისტორია, ისევ ნაცად ზერხს მიმართა. მაშინ მისი მთავარი პრობლემა ბელგიელთა პოლანდიელი თავდასხმელების რობი რენსენბრინკის თამაშიდან გამოთიშვა გახლდათ. კრონმა ეს მისია მარჯვენა მცველ მანფრედ კალტცს დაავალა და გაუმართლა კიდევ. ახლაც, ჰამბურგულ რაუნდში, პოლანდიელს კალტცი მეურვეობდა, მაგრამ შედეგი სრულიად საპირისპირო გამოვიდა. სწორედ რენსენბრინკის წყალობით მოიგო „ანდერლესტი“.

ბრიუსელში კიდევ უფრო დაძაბული მატჩი გამოვიდა. ჰამბურგელთაგან საუკეთესო „ლივერპულიდან“ გადასული კევინ კივანი იყო. მან ბურთიც გაიტანა, მაგრამ „ანდერლესტი“ აშკარად უკეთესად თამაშობდა. ვან დერ ელსტის გოლმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 1:1. „ანდერლესტი“ „ჰამბურგს“ წინა წლის წყენა არ აპატია და ამრიგად იყარა წაჯერი.

ტურნირის პირველივე წრეში კი დიდი სკანდალი მოხდა და ეს ამბავი ისევ ინგლისელებთან იყო დაკავშირებული. ფრანგული „სენტ ეტიენი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობდა. ბრიტანელმა ფანებმა ჯერ კიდევ მატჩამდე ტრიბუნებზე ატეხეს ჩხუბი. შედეგად ორმოცდაათამდე ადამიანი დაიჭრა, დანარჩენებმა სხვადასხვა დაზიანება მიიღეს და ოცამდე სასწრაფო დახმარების მანქანა ძლივს აუღიოდა. მოსპიტალებში მათ გადაყვანას, არეულობები თამაშის შემდეგაც ვაგრძელდა, თუმცა ამაში გერმანულ არბიტრ ბიზერვისაც მიუძღოდა ბრალი. მან მანჩესტერელებს ოთხი გოლი არ ჩაუთვალა, ერთთავად თამაშარეს აღნიშნა. შეხვედრა კი ფრედ 1:1 დამთავრდა. ფრანგებმა უეფაში იჩივეს. ისინი „იუნაიტედის“ ტურნირიდან მოხსნას ითხოვდნენ. ევროპული ფეხბურთის ბოსები რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. თავიდან თითქოს დაპყვნენ კიდევ ფრანგების მოთხოვნას, მაგრამ მერე გადაიფიქრეს. ამაში თავისი წვლილი მანჩესტერელთა ექსმენეჯერმა მეტ ბასბიმაც შეიტანა. სააქელაციო ფიურიში ბრიტანელთა წარმომადგენელი სწორედ ბასბი გახლდა და მისმა ავტორიტეტმა თავისი გააკეთა. უეფამ მიიჩნია, რომ მომხდარში ფეხბურთელები ყველაზე ნაკლებად იყვნენ დამნაშავენი და „იუნაიტედს“ 30 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმება აქმარა. თანაც განმეორებითი მატჩის მანჩესტერიდან 300 კილომეტრის მოშორებით გამართვა ბრძანდა.

თამაში ქალაქ პლიმუტში გაიმართა და მასპინძელთა გამრჯევებით 2:0 დამთავრდა. ამჯერად არეულობები აღარ მომხდარა. სტადიონზე პოლიცია მორიგეობდა, ხოლო ტრიბუნებზე მხოლოდ ათასი ყველაზე სანდო გულშემატკივარი შეუშვეს. ასეთი დავიდარებით გასულ „მანჩესტერს“ შემდეგ წრეში უკვე მინდორზე გამწარება ელოდა. პორტუგალი, ადგილობრივ გუნდთან შეხვედრამდე თამაშზე შეტად ყველა ბრიტანელი ფანების პრობლემაზე ფიქრობდა. პორტუგალიაში ინგლისის საელჩომ იქაურ მთავრობას სთხოვა, ინგლისელები ცალკე სექტორში მეთავსებინათ. მათი რიცხვი შეზღუდული იყო და



თასების მფლობელთა თასი XVIII გათამაშება 1977-78 წლები ანდერლესტი ბრიუსელი, ბელგია სოლომონ ეკლისაძეილი Cup Winners' Cup სრული ისტორია

# შეუჩარებაელი რენსენბრინკი

600 კაცს არ აღემატებოდა. თავის მხრივ, პორტუგალიელებმაც იზრუნეს, სტუმართათვის გამოყოფილ ადგილს რკინის ბადეები შემოავლეს და მის გასწვრივ დაგეშილი ძაღლებით გაძლიერებული პოლიციელები ჩააყენეს. ტრიბუნებზე არაფერი მომხდარა. მინდორზე კი „პორტუგალი“ ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანა „იუნაიტედს“. მთავარი ფიგურა ვინმე პორტუგალი დედა ყოფილა. მას ორჯერ დაუმწუხრებია „ალისფერები“. მანჩესტერში, „ოლდ ტრაფორდზე“, ინგლისელებმა კინადამ რევანში აიღეს, მოწინააღმდეგეს ბუთჯერ შეუგდეს, მაგრამ პორტუგალიელი ზენინიოს ორმა გოლმა მასპინძლების შანსი არაფრად აქცია. ამ მატჩში ერთი იმეათი მოვლენაც მოხდა — „პორტუს“ კარში გასული ხუთი ბურთიდან ორი მათივე მცველმა მურკამ გაიტანა.



პარიზში რენსენბრინკმა თასების თასი მეორედ ასწია

ბელგიელთა მწვრთნელმა რაიმონდ გუტალსმა. ბრიუსელში „პორტუ“ მიუღი გუნდთა იცავდა თავს, მაგრამ „ანდერლესტი“ გუტალისის სიტყვები შეასრულა. რენსენბრინკმა (პენალტით), ნილსენმა და ვერკოტერენმა მეტოქის მეკარეს სამჯერ გამოატანინეს ბურთი კარის ბადიდან. ნახევარფინალის პირველ მატჩში მეზობელი „ტვენტე“ გააფთრებით ეტაკა „ანდერლესტს“. 27-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი უფლებაც მოიპოვა, მაგრამ მურერენის დარტყმული ძელს მოხვდა. პოლანდიელი ჟურნალისტის თქმით, ბელგიელთა დაცვა საოცრად მწვობრი იყო, მათ მეტოქის შტურმს ღირსეულად გაუძლეს და მერე თავდაცვ შე-

გდეს. რენსენბრინკის გადაცემით ბურთი ნილსენმა გაიტანა. ბრიუსელში კი მაყურებელმა სულ სხვაგვარი სურათი იხილა. „ანდერლესტი“ მიუღი დრო იერიშებში გაატარა და პოლანდიელების — ჰანისა და რენსენბრინკის (პენალტით) გოლებით გაიმარჯვა. თუ „ანდერლესტი“ ფინალში გასულა არავის გაკვირვებია, ვენის „აუსტრიის“ ასეთ წარმატებას არავინ ელოდა. ავსტრიელებმა დიდი ჯახით მიაღწიეს გადამწყვეტ მატჩამდე, ჯერ იყო და, ერთადერთი გოლით ძლივს მოუგეს „კარლიფ სიტის“, მერე მხოლოდ მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთის წყალობით სძლიეს კომიკის „ლოკომოტივს“. მესამე და მეოთხე წრეში კი მატჩის შემდგომი პენალტებით დამარცხეს იუგოსლავიური „პაილუკი“ და მოსკოვის „დინამო“, ამ შეხვედრებში საუკეთესო ავსტრიელთა მეკარე ბაუმგარტენერი გახლდათ. იუგოსლავიელებთან მან სამი თერთმეტმეტრიანი მოიგერია და არც „დინამოსთან“ შეურცხვენია თავი.

„აუსტრიის“ უშუალოდ ნახვის საშუალება თბილისელებსაც ჰქონდათ. 1978 წლის 29 მარტს ნახევარფინალის პირველ მატჩში მოსკოვის „დინამომ“ ევსტრიელებს ჩვენს დედაქალაქში უმასპინძლა და 2:1 მოუგო. სტადიონი თითქმის სავსე იყო, „აუსტრიამ“ კი საკმაოდ გააზრებული ფეხბურთი ითამაშა. მათ რიგებში ავსტრიის ნაკრების რამდენიმე წევრი გამოდიოდა. სამმა მათგანმა, რობერტ ზარამ (ნაკრების კაპიტანი), ერის ობერმაიერმა და ჰერბერტ პროპაზამ, იმ ზაფხულს არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა.



ანდერლესტი 1978 წელს. მარცხიდან სხედან: დოქსი, რენსენბრინკი, ვან დერ ელსტი, კოევი, ვერკოტერენი, ჰანანი. დგანან: ვან ბინსტი, ნილსენი, ბროსი, ტისენი, დიუსბაბა, რესელი, დე ბრეე

Table with 3 columns: Team Name, Score, and Match Details. Includes teams like Dinamo, Belshina, and others.

სპორტული ღობი

საპორტას (ყოფილი პარკის) თასის ყველა კვალი და ფინალი

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)

ბენეტონი (ბონორა (4), ხოფრესა (10), მარკონატო (7), ნიკოლა (14), პიტისი (6), რებრაჩა (6), სეკუნდა, ვილიამსი (17) პამესა: გარსია, ბერნარდო (3), პოფინსი (13), ლუნგო (3), მალუნდა (10), როდილია (14), სელერსი (17)



წაგებით დამწუხრებული პამესელები: ბერნარდო, ლუნგო და როდილია

ბიძიებს ბავშვები დაავიწყდათ

23 აპრილს კვიბროსში დაიწყება ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის ფინალის წინა ეტაპი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც ჩაებმება. ქართველი კადეტები უკვე შეუდგნენ სერიოზულ მზადებას. გუნდი დღემდე ბაზაზე შეიკრება და დღეში ორჯერ ვარჯიშობს. ეროვნულ ჩემპიონატში მათამაშე კლუბებს კი, რომელთაც კალათბურთელები ზემოხსენებულ ნაკრებში ჰყავთ, პრობლემები შეექმნათ, რადგან საბასუსხისმგებლო და პრინციპული შეხვედრების წინ მწვრთნელებს საშუალება არა აქვთ, სრულფასოვნად მოამზადონ თავიანთი გუნდი.

სწორედ ამიტომ შეიკრიბნენ კალათბურთის ფედერაციაში ჩემპიონატში მონაწილე გუნდთა მწვრთნელები. ამ საკითხზე ყველამ თავისი აზრი გამოთქვა, შემდეგ იმსჯელეს და საბოლოოდ ჩემპიონატის კალენდარში გარკვეული ცვლილებების შეტანა გადაწყვიტეს. მესამე წრის ბოლოსწინა, 26-ე ტური ხელუხლებელი დარჩა. აი, კვირადღეს კი ხუთის ნაცვლად მხოლოდ სამი შეხვედრა გაიმართება. „კოლხა“ — სდასუ და სტუ — „დინამო“ სამომავლოდ გადაიდო, რადგან ჭაბუკთა ნაკრებში სწორედ ამ კლუბების წამყვანი კალათბურთელები თამაშობენ. ამავე მიზეზით ჩაიშალა მეოთხე წრის კიდევ ოთხი მატჩი: „მაკაბი“ — თსუ, სტუ — სდასუ, „კოლხა“ — სტუ და სდასუ — თსუ. ეს თამაშები საკარგულად მისში გაიმართებაო, გვითხრეს ფედერაციაში, მაგრამ ესეც მალაინ საჭეკოა. მისში ხომ ეროვნული გუნდი ევროპის

ჩემპიონატის შევიცარიული საკვალიფიკაციო ტურნირისთვის უნდა შეუდგეს მზადებას. ასე თუ ისე, ფაქტია, რომ კალენდარმა მაინცდამაინც ვერ ივარგა. მის შემდგენლებს კი მეტი წინდახედულობა მართებდათ. მათ რომ ყოველივე თავის დროზე გაეთვალისწინებინათ, ახლა საფიქრალ-საზრუნავიც არაფერი ექნებოდათ.

Table with 2 columns: Match details (Round, Date, Teams) and Time. Includes rounds XXVII, XXVIII, and XXIX.

Table listing athletes and their scores in the tournament. Columns include year, name, and score.

კადეტები ფინალს უმეზნებენ

აპრილის ბოლოს კვიბროსში დაიწყება კალათბურთელ კადეტთა ევროპის ჩემპიონატის II შესარჩევი ტურის მატჩები. ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება საქართველოს კადეტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბატონი ნუგზარ ჭეიშვილი:

— რიგაში, სადაც პირველ შესარჩევი ტური გაიმართა, ხუთივე თამაში მოიგეთ და პირველ ადგილზე გახვედით, გაქვთ იგივე შედეგის იმედი ამ ტურში? — შარშან გუნდის წარმატება განაპირობა იმან, რომ მათამაშეები კარგად იყვნენ ერთმანეთთან შეთანხმებული. ყველას ერთი მიზანი ამოძრავებდა და, რაც მთავარია, იყო დისციპლინა, წელს კი ყველაფერი პირიქითაა... გუნდის მომზადების დონით კმაყოფილი არ ვარ. საქმე ისაა, რომ დაგეგმილი ვეკონდა ტურნირი იტალიაში, შეკრება ბორჯომში, რაც ფიზიკური მომზადებისთვის უნდა გამოგვეყენებინა, მაგრამ განუზრცივებელი დავგერჩა. რიგის მერე მხოლოდ ერთ ტურნირში ვმონაწილეობდით — ნოემბერში ერევანში ვიასპარეხეთ. ახლა კვიბროსში გამგზავრებამდე ვცდილობთ მომზადების დონე ვაუზუმჯობესოთ. — რომელი ქვეყნის გუნდები იქნებიან ტურში თქვენი მეტოქეები? — პირველად ფრანგებს შეხვედრებით 23 აპრილს. მომდევნო დღეებში ჩვენი მეტოქეები იქნებიან: ესპანეთის, ბელგიის, გერმანიისა და კვიბროსის გუნდები. — რომელ გუნდთან დაპირისპირება უფრო გაშინებთ? — ჩვენი მეტოქეები არ ვგაშინებენ, პირიქით, მათ ეშინიათ ჩვენი. ძლიერი გუნდი გვყავს. ყველა რგოლში არიან კარგი მოთამაშეები. მაღალი კალათბურთელებიც ბევრი გვყავს, თავდამსხმელებიც და გამთამაშებლებიც. უბრალოდ ვთვლი, რომ სათანადოდ ვერ მოვემზადეთ: საქართველოს ჩემპიონატზე ცალკე გუნდად უნდა გვეთამაშა უმაღლეს ლიგაში, მაგრამ კალათბურთის აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა, რომ ბიჭები შეუფერებელი ასაკის გამო უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებდნენ. მიუხედავად ამისა, ნაკრები დაანაწევრეს და ბიჭები მაინც ათამაშეს უმაღლესი ლიგის სხვადასხვა გუნდებში. — თქვენი აზრით, როგორი იქნება ამ ტურის შედეგები? — რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, გავალთ ფინალურ ეტაპზე, რომელიც ზაფხულში სლოვენიაში გაიმართება. ბიორგი ჩავლივშილი.











**გერმანია**  
XXVI ტური  
დორტმუნდი 2:1 ფრაიბურგი  
0:1 გიუნეში (18), 1:1 ბარბარესი (45), 2:1 რიკენი (76)  
ჰერტა 1:3 დუნისბურგი  
0:1 ვოლტერსი (18), 0:2 ვან ბურიკი (50 ს.კ.), 1:2 პრეიტტი (71), 1:3 ვედაუ (78)  
მიუნხენგლადახი 2:2 ბოხუმი  
1:0 ასანინი (65), 1:1 პეშელი (78), 2:1 პასლაკი (90), 2:2 შაპდავიკია (90)  
მიუნხენ 1860 0:2 ლევიკაუზენი  
0:1 ემერსონი (46), 0:2 ზე რობერტი (63)

**ინგლისი**  
მიდლსბრო 0:0 ჩელსი  
ტანის ნახევარფინალი  
პრინსალი 1:1 (1:2 დ.დ.) მანჩესტერი  
1:0 ბუქემი (17), 1:1 ბერესკამპი (69), 1:2 გიგზი (109)

**იტალია**  
ტანის ფინალი. I მატჩი  
პარმა 1:1 ფიორენტინა  
1:0 კრესპო (16), 1:1 ბატისტუტა (81)

**საფრანგეთი**  
XXIX ტური  
პორდო 0:0 ლორიანი  
ოსარი 0:3 მონაპო  
0:1, 0:2 შული (60, 72), 0:3 იკებეა (84) მიცი 1:1 პსპ  
0:1 ალფერინო (23), 1:1 ესტროვიჩი (58)  
ლეავრი 2:1 ნანტი  
0:1 დაროზა (3), 1:1 ვებერი (57), 1:2 ბუმსონგი (74)  
მონაპოლი 1:3 ლიონი  
0:1 კაველია (32), 1:1 დელი (73), 1:2 კაველია (84), 1:3 ბასილა (90)  
სტრასბური 2:0 ტულუზი  
1:0 ბერტინი (75), 2:0 მარტინი (83)

**ჰოლანდია**  
ტანის ნახევარფინალი  
აინდხენი 2:1 ფაინრორდი  
1:0 ვამბერტი (45), 1:1 ვან გასტელი (55), 2:1 მელხიოტი (71)

**ბელგია**  
ლიგის ტანის ნახევარფინალი  
გენეკი — სენტ ტრუიდენი  
2:0 აპრილს ვაიმარტუბა

**თურქეთი**  
ტანის ფინალი.  
პირველი მატჩი  
გალათასარი 0:0 ბაშეფთაში

**უოტლანდია**  
რინგბერი 1:0 დანფორლანი  
1:0 ვან ბრონკორსტი (38)  
პარტისი 2:4 სელტიკი  
0:1 რისეტი (2), 0:2 ბლინკერი (8), 1:2 ადამი (27), 1:3 ვიდუკა (29), 2:3 ადამი (47), 2:4 ვიდუკა (51)

**ავსტრია**  
XXVIII ტური  
გრაცერი 1:4 ზალცბურგი  
0:1 ამერპაუზერი (9), 0:2 კიციხლიერი (27), 3:0 გლიდერი (40), 1:3 გოლომბეკი (72), 1:4 საბიციერი (74)  
რაპიდი 2:1 შტაირი  
1:0 პურკი (50), 2:0 ვიერი (60), 2:1 მეტლიცი (76)  
ტიროლი 1:0 რიდი  
1:0 ბაური (90)  
ლინცი 0:0 აუსტრია



აიაქსი — ეინდჰოვენი 2:1. შოთა არგელაძე (მარცხნივ) პოლ ბოსველტის წიაანდმდეგ

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

ირლანდია 1:1 (3:5 ან) ნიგერია 1:0 რიჩი (35), 1:1 პიუსი (70)	ურუგვაი 2:2 (10:9 ან) ბარაგვაი 1:0 ჩევანტონი (32), 2:0 ფორლანი (50), 2:1, 2:2 სანტა (63, 86)
განა 2:0 კოსტა რიკა 1:0 ოვუსუ (18), 2:0 ოფური კუაიე (82)	ბრაზილია 4:0 სურინამი 1:0 რონალდო (21), 2:0 რონალდო (45), 3:0 ფერნანდო ბაიანო (48), 3:1 ედუ (68)



**ცხენ-კაცისა დადგა გორი**  
„ფრეზერ აილენდისა“ (№23) და მისი მხედრის, რიჩარდ გესტისათვის ამასწინანდელი ლივერპული სტიმულჩიზი უილბლოდ დასრულდა. ერთ-ერთი დაბრკოლების გადალახვისას წყვილმა წონასწორობა დაკარგა და ... დანარჩენს თქვენ თავადაც ხედავთ. რიჩისა და ფრეზის ტრავმებზე არაფერს იუნყებიან. თუმცა მესამე ფოტოს მიხედვით ისე უნდა ჩანდეს, რომ ცხენს კიდევ დიდხანს ველარ შეეძლება დოღებსა და მარულებში ჯირითი. იმდღევანდელი რბოლა კი პოლ კერბერმა და მისმა „ბობიჯომ“ მოიგეს.

**ფიგურულ-პოლიტიკური სანდალი რუსული მუჰარით**

ჰელსინკიში ამ ორიდღე კვირის წინ გასრულებული ფიგურულად მოსრიალეთა მსოფლიო ჩემპიონატი რუსთა უეჭველი, 4-ოქროიანი გამარჯვებით აღინიშნა. როგორც კეთილი დასავლელი ენები ამბობენ, ეს ამბავი არცთუ მთლად მსაჯთა დაუნმარებლად გახერხებულა. „მაგალითები გინდათ? — კიბატონო“ — ამბობენ იქ და ორ მსაჯზე, უკრაინელ ალფრედ კორიტეკსა და რუს სეიატოსლავ ბაბენკოზე მიგვიითხებენ.

ეს დალოცვლები, თუკი სლავებისადმი დიდ სიყვარულში ვერშემჩნეულ დასავლელებს ვერწმუნებით, წყვილთა შეჯიბრში ანტონ სინარულიძესა და ელენა ბერენას მამრობიან და მათი ჩინელ-პოლონელი მეტოქეებისთვის ერთი-ორი ქულაც ჩამოუკლიათ. ამის დასტურად საერთაშორისო სასრილო კავშირს (ISU) კანადელთა მიერ გადაღებული ფირიც ქქონათ; რომელზედაც კორიტეკი და ბაბენკო თავიანთ ცულღულურ გეგმაზე საუბრობენ და მავნე ხლართებსაც ხლართავენ.

მართლა ასე იყო ეგ თუ, რაღაც სხვანაირად, ჩვენ არ ვიცით. მთავარი ისაა, რომ ხსენებულ მსაჯებს ახლა ერთი წლით ტრიბუნებზე ანაცვლება მოუწევთ. ამის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ISU თავის, მოგვიანებით მოსაწყობ თავმჯდომარეზე მიიღებს.

მანამდე კი რუსეთის ფიგურული სრილის ფედერაციის პრეზიდენტს, ვალენტინ პისევეს საპროტესტო არზა უფრენია. რუსთა მეციგურე მამა ზემოთხსენებულ მსაჯთა მოკვეთას უსამართლო საქმედ მიიჩნევს და აცხადებს, რომ რუსეთი, რომელიც გარდა თავისი სამხედრო-პოლიტიკური ძერჯა-უობისა, ღიადის სასრილო ძერჯავაცაა, მისი წარმომადგენლებისადმი ასეთ უდიერ მოპყრობს არასგზით არ შეეგუება მათ ახზიანთ, ნათლად გიორგობიანი, საპროტესტო პურიც ჭამოს და ბურახიც დალიოს. „თუკი საჭირო გახდება, ჩვენ ჰაავის საერთაშორისო სასამართლოშიც ვიჩივლებთ“ იქადნის პისევეი და ადელეგებული ჰალსტუხს ისწორებს.

**ბარობა ახტა-ღახტა...**  
სევილიაში დაწყებული საერთაშორისო ფესტივალის პირველი დღე ხარებთან უგზებელ თამაშს დაეთმო. ათას არენახე ნაბაქერები მორგინალები სისხლის დაღვრას სავანგებოდ მოერიდნენ და ვადარეულ ცხოველებთან უკონტაქტო ბრძოლას დასჯერდნენ. სურათზე აღბეჭდილმა ამ უცნობმა ჯეელმა ბებერი ბულის რქები ასეთი ეშხიანი ილეითი აირიდა. ილეითი ტრადიციული ყოფილა და მას „გაროტას შესტომი“ რქმევიან.



**სარბიელი**  
სპორტული გაჯეტი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამშაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოტსხვერია  
დირექტორი გიორგი ოქროშვილი  
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი  
ასტორანილი გურასაშვილი  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბუნიკაძე  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო ქოტორაძე  
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი  
კალათბურთის განყოფილების გამგე მირაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულიშვილი, გიორგი ვაშაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიან სანიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, ვალო თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლონაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია ახზიანთ, ნათლად გიორგობიანი, ლალი ვოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომწვეები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი,  
ალექსანდრე ყაზბეგის  
გამყინი 42, II კორპუსი,  
IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი — 79,  
საფოსტო ყუთი 208.  
ტელეფონი: 39 48 29